საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2682
17/06/2022

2682-21-2-202206171736

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,

ჭავჭავაძის გამზირი, №74ბ

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 6 ივნისის N2221 განცხადება, რომელიც ეხება სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის (18600 $მ^3$ მოცულობის სარეზერვუარო პარკით) სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შესახებ, მათ შორის: იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტა, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ნომერი.
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, მათ შორის საქმიანობის სპეციფიკის მიუხედავად:
    - სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწვავის შესაძლო ავარიული დაღვრით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ, ასევე სარეზერვუარო პარკის-მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში ნიადაგის/გრუნტის ზედაპირული ფენის დაბინძურების მაღალი რისკის უბნებისა და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ;
    - დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში (საცავის მოწყობა-რეკონსტრუქცია და ექსპლუატაციის ეტაპზე) ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ნავთობშლამების და მათი მართვის შესახებ, რომელიც ტექნოლოგიური ციკლის მუდმივი თანმდევია;
    - დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია, ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით;

- საპროექტო ობიექტის სიახლოვეს ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის არსებული და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს სარეზერვუარო პარკში, შესაძლო ავარიული სიტუაციის დროს რეზერვუარ(ებ)იდან დაღვრილი პროდუქტის შეკავების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია;
- დასაზუსტებელია ინფორმაცია საშრობი გუბურების და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ, საშრობ გუბურებში დაგროვილი წყლის მართვის საკითხების მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ რაიმე სამრეწველო საწარმო არ არის. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის, მათ შორის ანალოგიური ტიპის ობიექტები;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „რეზერვუარები აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. ყველა მიწისქვეშა რეზერვუარზე მიწის დონიდან 1.5 მეტრ სიმაღლის მილზე ფიქსირებულია СМДК -150, ერთ ბენზინ პრემიუმის რეზერვუარზე დამატებულია КНДМ-150 სარქველი.“ დაზუსტებას საჭიროებს СМДК-150 და КНДМ-150 შესახებ ინფორმაცია, ქართული აბრევიატურის მითითებით;
- **დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ჩასატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ, რომელიც არ არის სათანადოდ ასახული წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში;**
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი-ურთიერსაწინააღმდეგო ინფორმაციები. მათ შორის, გვ. 3-ზე აღნიშნულია რომ - „3000.0მ^3 მოცულობის ერთი ვერტიკალური რეზერვუარი გადაკეთდება საავიაციო ნავთის მიმღებ-გამცემ კომპლექსად, 30.0 მლნ/ლიტრი წლიური ბრუნვით. დაემატება ორი ჰორიზონტალური მიწისზედა 60.0-60.0მ^3 მოცულობის ვაგონცისტერნის ტიპის რეზერვუარი“. ხოლო შემდეგ გვერდებზე (მაგ. გვ.4) წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ზემოაღნიშნული ღონისძიებები უკვე განხორციელებულია;
- სკოპინგის დოკუმენტაციაში არ არის მითითებული განცხადების წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების/მოთხოვნების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ სკოპინგის დოკუმენტაციასთან ერთად გთხოვთ, უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა, შესაბამისი გვერდების მითითებით.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო